შინაგანაწესი ვირუსული კოვიდ-ინფექციის პრევენციის შესახებ

- „ახალი“ კორონავირუსი (COV) არის კორონავირუსის ახალი შტამი, რომლის გავრცელდება ხდება დაინფიცირებული ადამიანის რესპირაციულ წვეთებთან უშუალო კონტაქტის გზით (წარმოიქმნება ხველის ან დაცემინების დროს) და ასევე ვირუსით დაინფიცირებულ ზედაპირებთან შეხებით.

„პირველი ნაბიჯის“ დღის ცენტრის ადმინისტრაცია ვალდებულია:

- უზრუნველყოს პერსონალის და ბენეფიციარების შესვლა დაწესებულებაში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით - ნიღბები, სახის ფარები და სხვა) შემოსასვლელი სივრცე უზრუნველყოს დეზობარიერით;
- შესასვლელთან განახორციელოს ხელის ჰიგიენა და თერმოსკრინინგი, გააკონტროლოს როგორც პერსონლის, ასევე ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით.
- ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში მოახდინოს ცენტრის ექიმის ინფორმირება და საჭიროებისამებრ ერთად მიმართონ 112-ის ცხელ ხაზს;
- უზრუნველყოს დაწესებულება ხელის დასაბანი გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცები)
- უზრუნველყოს სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;
- უზრუნველყოს სამუშაო სივრცის სველი წესით დამუშავება/დეზინფექცია;
- სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე უზრუნველყოს პერსონალის აღჭურვა სპეც

საშუალებებით (ნიღაბი, სახის დამცავი ფარი, ხელთათმანი, ერთჯერადი ხალათი ან წინსაფარი (დამხმარეებისთვის);

- მთელი შენობის ფარგლებში, სხვადასხვა სივრცეებისთვის (სველი წერტილები, სხვადასხვა კლასები, სამზარეულო, დასვენების სივრცე, ადმინისტრაციის სივრცე) გამოიყოს კოდირებული, განსხვავებული ფერის დასუფთავების სხვადასხვა საშუალებები (ცოცხი, იატაკის ტილო, აქანდაზი, სათლი, მაგიდის ტილო, პატარა

- ხელისა და პირის გასამშრალებელი პირსახოცები, დეზინფექციის საშუალებები, ხელთათმანები, წინსაფრები, ერთჯერადი ქუდები, ღრუბლები).

- სამუშაო ადგილების სხვადასხვა სივრცეში, განათავსოს ხელის და ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები.

- თვალსაჩინო ადგილას განათავსოს პლაკატი ხელის ჰიგიენური წესების შესახებ.

- უზრუნველყოს დაწესებულება გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისათვის კონტეინერებით (ფეხის პედლის შესაძლებლობით).

- უზრუნველყოს დაწესებულება დასალაგებელი ინვეტარის ადექვატური რაოდენობით.

- უზრუნველყოს სანიტარული წერტილების პერიოდიული სანიტარული დამუშავება (2 ჯერადად და საჭიროებისმებრ)
- დაიცვას დაღვრილი ბიოლოგიური სითხეების გაუვნებელყოფის წესები

- ყოველი სამუშაო დღის შემდგომ მთელი გამოყენებული სივრცის დალაგება მოხდეს სველი წესით.

- დასუფთავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მანქანის (მიკროავტობუსის) ყოველდრიურ დასუფთავების პროცედურას.იგი უნდა დალაგდეს დღეში ორჯერ და საჭიროებისამებრ.

- რესპირაციული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება და ა.შ.) გამოვლინების შემთხვევაში თანამშრომელი **არ უნდა გამოცხადდეს** სამსახურში.
- თუ ბოლო 14 დღის განმავლობაში ბენეფიციარი ან/და ბენეფიციარის ოჯახის წევრი მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა კორონა ვირუსის მატარებელ პირთან /პირებთან, მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაციია /კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით.
- ჯუგუფური მუშაობის პირობებში უნდა გამოიყენონ პერსონალისა და ბენეფიციარების ცვლებში მუშაობის რეჟიმი და დაიცვან უსაფრთხო დისტანცია.

საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ქცევის წესები მშობლებისთვის

- შესრულდეს დაწესებულების ხელმძღვანელის მითითებები;

- მშობლები ვალდებულები არიან დაემორჩილონ დაწესებულების დადგენილ წესებს;
- შეიზღუდოს სართულებს/კორპუსებს შორის არასაჭირო/ზედმეტი გადაადგილება;
- სხვა პირებთან მიმართებით დაიცვან უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მეტრისა) და მოერიდოს 15 წუთზე მეტხანს კონტაქტს;
- იმ შემთხვევაში თუ არ არის აუცილებელი მათი ყოფნა დაწესებულებაში, დატოვონ ტერიტორია;
- რესპირაციული სიმპტომების გამოვლინებისას (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, სურდო, ყელის ტკივილი, საერთო სისუსტე და ა.შ.) არ გამოცხადდენ დაწესებულებაში;
- აღნიშნულის შესახებ აცნობონ დაწესებულების ხელმძღვანელს.

წესები აღსაზრდელების კვების ახალი განრიგით

უზრუნველყოფის შესახებ

- შეიცვალოს ძირითად დარბაზში საკვები მაგიდების და დასაჯდომი ადგილების განლაგება
- საჭიროა დამყარდეს უსაფრთხო მანძილი ,არანაკლებ 2 მეტრისა
- ერთ მაგიდასთან ბენეფიციარებს შორის მანძილი, უნდა იყოს არანაკლები 1 მეტრისა.
- ერთი ადამიანისთვის საჭირო ფართი უნდა შეადგენდეს 2,25 მ-ს.

- მანძილი სკამის საზურგეებს შორის უნდა იყოს არა ნაკლები 1 მეტრისა.
- ერთ მაგიდასთან შეიძლება არა უმეტეს 6 ბენეფეციარის მოთავსება.
- აღნიშული წესების გათვალისწინებით შედგება კვების განრიგი.

(მორიგეობითი კვება)

ბენეფიციართან ერთ მეტრზე ნაკლები დისტანციის შემთხვევაში ნებისმიერმა პირმა გამოიყენოს როგორც პირბადე, ისე ფარი.